ეკონომიკური დამოკიდებულება

რუსეთის ინსტრუმენტი სამხრეთ კავკასიასა და ევროპაზე გავლენის მოსახდენად



გიორგი ხიშტოვანი

ანასტასია ჩხენკელი

ეკონომიკური დამოკიდებულება – რუსეთის ინსტრუმენტი სამხრეთ კავკასიასა და ევროპაზე გავლენის მოსახდენად

ავტორი: **გიორგი ხიშტოვანი**
ანასტასია ჩხენკელი

თბილისი

2024

პუბლიკაციის შესახებ

წინამდებარე პუბლიკაცია შეიქმნა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მხარდაჭერით. დოკუმენტში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და არ ასახავს ან წარმოადგენს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრის (CSD) ან შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის შეხედულებებსა და მოსაზრებებს.

შინაარსი

შესავალი 1

ლიტერატურის მიმოხილვა 2

მეთოდოლოგია 4

განხილვა 4

დასკვნა 16

ბიბლიოგრაფია 18

შესავალი

სტრატეგიული, სამხედრო და გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, რუსეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკუთარი გავლენის გავრცელება სამხრეთ კავკასიისა და ევროპის რეგიონებში. ამისათვის რუსეთი მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, რომელთა შორის არის ეკონომიკური ურთიერთობებით მანიპულირება. ერთი მხრივ, გეოგრაფიული სიახლოვე და მდიდარი ბუნებრივი რესურსები განაპირობებს რუსეთის კავკასიასთან და ევროპასთან ძლიერ სავაჭრო კავშირებს, მეორე მხრივ, რუსეთს ამ რეგიონებთან მნიშვნელოვანი საინვესტიციო კავშირები აქვს. კერძოდ, განსაკუთრებით მსხვილია რუსეთის ინვესტიცია სტრატეგიულად მნიშვნელოვან სექტორებში. ამ სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობებს რუსეთი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით გავლენის მოხდენის ინსტრუმენტად იყენებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ორი რეგიონის ურთიერთობა რუსეთთან ერთმანეთისგან განსხვავებულია. სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანას - საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს რუსეთთან შედარებით არათანაბარი ეკონომიკური ურთიერთობა აკავშირებთ, რომელშიც ეს უკანასკნელი დომინანტური მხარეა. ამ რეგიონის მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნები დიდწილად არიან დამოკიდებულები რუსეთზე, რაც მოსკოვს მნიშვნელოვან ბერკეტს აძლევს საკუთარი ინტერესების გასატარებლად.

ევროპას კი, საერთო ჯამში (ცალკეულ ქვეყნებს შორის განსხვავებების მიუხედავად), რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება აკავშირებს. ამ შემთხვევაში, ორივე მხარე ერთმანეთისთვის რესურსების და ეკონომიკური შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, ამიტომ ურთიერთობა შედარებით თანაბარია. მიუხედავად ამისა, რუსეთი მაინც ახერხებს ევროპასთან ეკონომიკური ურთიერთობა საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების სასარგებლოდ გამოიყენოს. რუსეთ-ევროპის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გასაანალიზებლად განსაკუთრებით საინტერესოა 2022 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომი პერიოდი. რუსეთის შეჭრას უკრაინაში ევროკავშირის მიერ რუსეთის მიმართ ფართო ეკონომიკური სანქციების დაწესება მოჰყვა, რამაც ორივე მხარეზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა იქონია და ცხადყო, რომ ეკონომიკური კავშირები რუსეთ-ევროპის დაპირისპირებაში უმნიშვნელოვანეს ბერკეტს წარმოადგენს.

ეს ნაშრომი იკვლევს, თუ როგორ იყენებს რუსეთი ეკონომიკურ ურთიერთობებს, კერძოდ კი სავაჭრო ურთიერთობებსა და საინვესტიციო კავშირებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოზე ზეგავლენის მოსახდენად. ნაშრომში სამხრეთ კავკასიისა და ევროპის მაგალითზე რუსეთის მიერ ეკონომიკური დამოკიდებულების ექსპლუატაციის ორი განსხვავებული შემთხვევა არის განხილული.

ლიტერატურის მიმოხილვა

კვლევა ეყრდნობა რამდენიმე სხვადასხვა თემაზე ფოკუსირებულ აკადემიურ ნაშრომებს. გამოყენებულია კვლევითი ნაშრომები სამხრეთ კავკასიის და რუსეთის ურთიერთობების თემაზე. მათ შორის, აღსანიშნავია, ანნა-მარია კისის ნაშრომი Russia and the South Caucasus: Managing contradictions, რომელიც საუბრობს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლოების მოპოვების შემდეგ არსებულ ეკონომიკურ გამოწვევებზე და იმაზე, თუ როგორ მიიყვანა ამ გამოწვევებმა რეგიონი რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებამდე. ამ თემაზე ძალიან ღირებულია პინარ საიანისა და სხვების კვლევა Economic cooperation in the South Caucasus and the wider region: Gained losses, lost benefits, რომელშიც დეტალურად არის გაანალიზებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე, განსაკუთრებით სავაჭრო და საინვესტიციო კავშირები. მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კვლევა 2016 წლით თარიღდება, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რუსეთთან საინვესტიციო კავშირების ანალიზი 2024 წლისთვისაც რელევანტურია. რუსეთი ძირითადად იგივე საინვესტიციო პოზიციებს ინარჩუნებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სტრატეგიულად მნიშვნელოვან სფეროებში. მის მიერ სამხრეთ კავკასიაზე ეკონომიკური კავშირების გამოყენების გზით პოლიტიკური გავლენის მოპოვებისთვის/შენარჩუნებისთვის არსებული სტრატეგიის გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია რეგის გენტეს ნაშრომი Russian strategies of influence in the South Caucasus region. სამხრეთ კავკასიის ცალკეული ქვეყნების რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ანალიზი მეტწილად ეყრდნობა ამ ქვეყნების ადგილობრივი მკვლევარებისა თუ კვლევითი ინსტიტუტების ნაშრომებს. აზერბაიჯანის ქვეთავი ეფუძნება ზაურ შირიევის კვლევას Azerbaijan's Relations with Russia Closer by Default? და ასევე სხვადასხვა სტატიებს აზერბაიჯან-რუსეთის ეკონომიკურ ურთიერთობაში უახლესი მოვლენების ანალიზისთვის (მაგ. Euractiv-ის Zaur Mammadli-ის Azerbaijan keeps

trade option open amid sanctions busting accusations). საქართველოს ქვეთავი ეყრდნობა „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ Georgia's economic dependence on Russia: Trade, tourism, remittances, and Russian companies in Georgia და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)“ „რუსული კაპიტალი და რუსული კავშირები ქართულ ბიზნესში“ კვლევებს, რომლებიც საქართველოში რუსული ინვესტიციების მნიშვნელოვან ანალიზს გვთავაზობენ, ასევე PMCG-ის კვლევას Wheat And Flour Value Chain, რომელშიც საქართველოს რუსულ ხორბალზე დამოკიდებულებაზეა საუბარი. საქართველო-რუსეთის უახლესი ეკონომიკური კავშირების ანალიზში გამოყენებულია სხვადასხვა მედიაგამოცემის, ძირითადად კი BMG-ის სტატიები და სიახლეები. სომხეთის ქვეთავში გამოყენებულია ჯასტინ ტომსზიკის კვლევა - Armenia and the Eurasian-European Digital Divide და ტომას დე ვაალის ნაშრომი - Armenia Navigates a Path Away From Russia, ისევე როგორც „რადიო თავისუფლების“, Politico-ს, BMG-ისა და სხვების სტატიები.

ევროკავშირისა და რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზში მოცემულია ინფორმაცია ჯეიმს ჰიუზის კვლევიდან EU Relations with Russia: Partnership or Asymmetric Interdependency?, რომელშიც ცივი ომის შემდეგ ევროპისა და რუსეთის ურთიერთობების განვითარებაზე და ამ ურთიერთობაში ეკონომიკური კავშირების როლზეა საუბარი. ტორბიორნ ბეკერისა და ანდერს ოსლუნდის ნაშრომში The EU's Dependence on Russian Energy—A Force that Divides or Unites the Union? განხილულია 2022 წლის რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ განვითარებული პროცესი. ამ კუთხით ღირებულია Carnegie Europe-სთვის სტეფან მაისტერის მიერ მომზადებული ვრცელი ანალიტიკური სტატია A Paradigm Shift: EU-Russia Relations After the War in Ukraine. ევროპის ქვეყნებიდან რუსეთთან განსაკუთრებულად მჭიდრო ეკონომიკური კავშირებით გამორჩეული უნგრეთის შემთხვევის გაანალიზება ეფუძნება პიტერ კრეკოს მოხსენებას Russian influence in Hungary. გარდა ამისა, ევროკავშირისა და რუსეთის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ანალიზი ეყრდნობა Deutsche Welle-ს (სალივანის სტატია War in Ukraine: Russian oil still flowing into the EU), Politico-ს, Reuters-ის და სხვა დასავლური მედიასაშუალებების სტატიებს.

მეთოდოლოგია

დოკუმენტი ეყრდნობა სამაგიდე კვლევას. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია მეორადი (ანალიტიკური სტატიები, აკადემიური ნაშრომები, წიგნები, პოლიტიკის დოკუმენტები, ახალი ამბები) წყაროების შესწავლისა და ანალიზის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. ამის გარდა, კავკასიის ქვეყნების რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის ანალიზისთვის ნაშრომში გამოყენებულია გაეროს სავაჭრო მონაცემთა ბაზის (UN comtrade) ინფორმაცია.

კვლევა იყოფა ორ ძირითად ნაწილად. ერთი ნაწილი კონცენტრირებულია რუსეთის მიერ ეკონომიკური კავშირების საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებაზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელიც შედგება მცირე ეკონომიკის მქონე და რუსეთზე დიდწილად ეკონომიკურად დამოკიდებული ქვეყნებისგან. ნაშრომის მეორე ნაწილში კი განხილულია რუსეთის მიერ სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობებით მანიპულირების გზები ევროპის იმ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მაგალითზე, რომლებსაც თავადაც დიდი გავლენა აქვთ რუსეთის ეკონომიკაზე.

განხილვა

სამხრეთ კავკასია

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების - სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოსმაგალითზე ცხადად ჩანს რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული რისკები. რუსეთის გავლენას სამხრეთ კავკასიის რეგიონში დიდი ისტორია აქვს, რაც მოიცავს მის მიერ მე-19 საუკუნეში ამ რეგიონის დაპყრობისა და სსრკ-ს პერიოდებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს სახელმწიფოებრიობის შესანარჩუნებლად გზის გაკვალვა რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების პირობებში მოუწიათ. საბჭოთა კავშირის პერიოდში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკა, უპირველესად, საბჭოთა ინტერესებს ემსახურებოდა და თავად ამ ქვეყნების ეკონომიკური ინტერესები მეორეხარისხოვანი იყო. ამიტომ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა სრული ეკონომიკური ფრაგმენტაცია და

მკვეთრი ეკონომიკური ვარდნა განიცადეს (Kiss, 2013). შესაბამისად, ამ რეგიონისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიება, რათა ქვეყნებს დაეჩქარებინათ თავიანთი ეროვნული ეკონომიკების დივერსიფიკაცია, თუმცა ამას ხელს უშლიდა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეგულაციების და ინსტიტუციების სისუსტე და მოძველებული ტექნოლოგიური შესაძლებლობები, რამაც შეაფერხა სხვა ბაზრებთან, მათ შორის ევროკავშირთან, სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების დამყარება.

ამგვარად, რუსეთის ეკონომიკური ძალაუფლება ამ რეგიონში თანდათანობით აღდგა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ახალი პოლიტიკის შესაბამისად, ენერგორესურსებზე გაზრდილი ფასის წყალობით, მისმა ეკონომიკამ 1990-იანი წლების კრიზისის შემდეგ აღდგენა მოახერხა ამასთანავე, რუსეთის კერძო და სახელმწიფო კორპორაციებმა მოახერხეს ხელში ჩაეგდოთ მნიშვნელოვანი წილები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკების კრიტიკულ სექტორებში (Sayan et al., 2016).

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, გასული ათწლეულების განმავლობაში, რუსეთმა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური დამოკიდებულება არაერთხელ გამოიყენა ამ რეგიონის საკუთარ გეოპოლიტიკურ ინტერესებზე დასაქვემდებარებლად. ეს შემთხვევები სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის მაგალითზე განხილულია ნაშრომის შემდგომ ქვეთავებში („სომხეთი“, „საქართველო“, „აზერბაიჯანი“) მათი რუსეთზე ამჟამინდელი ეკონომიკური დამოკიდებულებისა და ამ დამოკიდებულებთან დაკავშირებული არსებული თუ სამომავლო რისკების ანალიზთან ერთად.

სომხეთი

სომხეთი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ის ქვეყანაა, რომელიც პოსტსაბჭოთა რეალობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს რუსეთის ეკონომიკურ განვითარებაში დღემდე რუსეთი სომხეთის მთავარ სავაჭრო პარტნიორად რჩება. 2023 წელს სომხეთსა და რუსეთს შორის სავაჭრო ბრუნვამ $7.3 მილიარდი შეადგინა, საიდანაც $3.8 მილიარდი რუსეთიდან იმპორტის, ხოლო $3,4 რუსეთში ექსპორტის ღირებულებას წარმოადგენს. ეს კი ნიშნავს, რომ 2023 წელს სომხეთში იმპორტირებული პროდუქციის 32.3% რუსეთიდან შემოვიდა და სომხეთიდან ექსპორტის 40.4%-ის დანიშნულება რუსეთი იყო.

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-სომხეთის ეკონომიკური ურთიერთობა კიდევ უფრო გაძლიერდა 2022 წელს რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემდეგ (Waal, 2024), რაც ცხადად ჩანს სა-

ვაჭრო მონაცემებში. დაწესებული ეკონომიკური სანქციების არიდებაში რუსეთისთვის სომხეთი მთავარ პარტნიორად იქცა და მნიშვნელოვნად გაიზარდა სომხეთში ევროკავშირიდან შესული პროდუქციის რუსეთში რეექსპორტის მაჩვენებლები. რუსეთზე გაზრდილი დამოკიდებულება ჩანს სომხეთის საგადასახადო მონაცემებიდანაც: 2024 წლის პირველ კვარტალში სომხეთში უმსხვილესი გადასახადის გადამხდელი ერთეული არის ელექტრონიკის საცალო ვაჭრობის კომპანია „მობაილ ცენტრი“, რომელიც მოგების ძირითად წილს რუსეთში რე-ექსპორტიდან გამოიმუშავებს. სანქციებდაწესებულ რუსეთთან ვაჭრობა უაღრესად მომგებიანი აღმოჩნდა მრავალი სხვა სომეხი ბიზნესმენისთვისაც / სომხური ბიზნესისთვისაც, რომლებმაც მოირგეს შუამავლის როლი რუს მომხმარებლებსა და დასავლურ პროდუქტებს შორის.





გრაფიკი 1 & 2: სომხეთის იმპორტი რუსეთიდან და სომხეთის ექსპორტი რუსეთში

წყარო: UN comtrade

სომხეთში მთავარი უცხოელი ინვესტორები რუსული კომპანიები არიან. საბჭოთა კავშირის დაშლიდან მაღლევე, რუსეთმა შეძლო კონტროლის დამყარება სომხეთის სტრატეგიულ კაპიტალზე სხვადასხვა სექტორში, როგორებიცაა: ენერგეტიკა, ტელეკომუნიკაციები, ტრანსპორტი და მძიმე მრეწველობა (Sayan et al., 2016). რუსული სახელმწიფო თუ კერძო კორპორაციები ფლობენ სრულ ან უმსხვილეს წილებს სომხეთის შესაბამის სექტორებში: რუსეთის რკინიგზა (РЖД) სრულად ფლობს სომხეთის ერთადერთ სარკინიგზო კომპანია „სამხრეთ კავკასიის რკინიგზას"; „გაზპრომი სომხეთი" - სომხეთში ბუნებრივი აირის მიწოდებასა და რეალიზაციაზე პასუხისმგებელი კომპანია, არის რუსული სახელმწიფო მონოპოლისტური კომპანიის, „გაზპრომის" სრულ მფლობელობაში; „არმენალი" - ალუმინის მწარმოებელი მსხვილი კომპანია სომხეთში ასევე არის რუსული კომპანია „რუსალის" მფლობელობაში; და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ 2015 წელს სომხეთი შეუერთდა რუსეთის ხელმძღვანელობით დაარსებულ ევრაზიის ეკონომიკურ კავშირს (Eurasian Economic Union (EAEU)), რომელიც პოსტსაბჭოთა 5 ქვეყანას - რუსეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, სომხეთს და ბელარუსს აერთიანებს. ამ გადაწყვეტილებით სომხეთმა უარი თქვა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ('deep and comprehensive free-trade agreement' (DCFTA)), რომელიც ევროკავშირმა ევრაზიის ეკონომიკური კავშირის წევრობასთან შეუთანხმებლად გამოაცხადა (Gardner, 2013). სომხეთის ეს გადაწყვეტილება ხშირად აიხსნება პირდაპირი, ინტენსიურიზეწოლით რუსეთის მხრიდან (Tomczyk, 2018), თუმცა ეს იყო მხოლოდ ერთ-ერთი შემთხვევა იმ მრავალთაგან, როდესაც სომხეთის გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა მისი მთავარი და მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორის, რუსეთის ზეწოლით.

საინტერესოა, რომ ხშირად, როდესაც სომხეთსა და რუსეთს შორის პოლიტიკური დაძაბულება იზრდება (მაგალითად, 2018 წლის „ხავერდოვანი რევოლუციის დროს"), რუსეთი, შესაბამისად, ცვლის გაზის ფასის შეთანხმებას სომხეთთან (Genté, 2020). რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა, 2020 წელს პირდაპირ განაცხადა, რომ რუსეთის მხრიდან სომხეთისთვის შეღავათიანი ფასით გაზის მიწოდება ქვეყნის პოლიტიკის ნაწილია და თავის დროზე შეღავათიანი ფასი სომხეთისთვის რუსეთთან პოლიტიკური მოკავშირეობის გამო დაწესდა.

აღსანიშნავია, რომ 2022 წლიდან სომხეთსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დაიძაბა, რაც ძირითადად მთიანი ყარაბაღის კონფლიქტს უკავშირდება (Waal,

2024). სომხეთის მთავრობის წარმომადგენლებმა დაიწყეს რუსეთის საჯარო კრიტიკა, მოსახლეობის განწყობა რუსეთის მიმართ გაუარესდა და ქვეყნის საგარეო კურსი ევროკავშირის მიმართულებით შეიცვალა. საპასუხოდ, რუსეთმა სომხეთის მიმართ გაფრთხილებების და ირიბი თუ პირდაპირი მუქარების გაჟღერება დაიწყო. რუსეთის ვიცე-პრემიერმა, აღექსეი ოვერჩუკმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ სომხეთს ემუქრება ეკონომიკური დანაკარგი და „თავისუფალი წვდომის დაკარგვა რუსულ ბაზარზე, საფრთხე ემუქრება ასევე სხვა ეკონომიკურ პრივილეგიებს, რაც სომხეთს როგორც EAEU-ს წევრს აქვს."

ჯერჯერობით რუსეთს სომხეთის წინააღმდეგ ოფიციალური ზომები არ მიუღია, თუმცა 2023 წლის აპრილში, აკრძალული ნედლეულის გამოყენების მიზეზით, რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარული მეთვალყურეობის ფედერალურმა სამსახურმა, „როსელხოზნადზორმა," შეაჩერა სომხეთიდან რძის პროდუქტების იმპორტი. 2024 წლის ივლისში, ქვეყნებს შორის კიდევ უფრო მწვავე პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, რუსეთმა, საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დარღვევების მიზეზით, სომხეთიდან ხილისა და ბოსტნეულის იმპორტიც შეზღუდა. ბუნებრივია, რომ ბევრი ექსპერტის შეფასებით, ამ შეზღუდვების მიღმა პოლიტიკური მოტივები და რუსეთის მხრიდან სომხეთის მიმართულებით გამოგზავნილი გამაფრთხილებელი სიგნალები იკითხება. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მთავრობა ხშირად იყენებს „როსელხოზნადზორმსა" და მომხმარებელთა დაცვის სააგენტო "როსპოტრებნადზორს" პოლიტიკური მოტივებით სავაჭრო დისკრიმინაციისა და იმპორტის ბლოკირებისთვის არა მარტო სომხეთის, არამედ სხვა სავაჭრო პარტნიორების წინააღმდეგაც (Menabde, 2015).

აღსანიშნავია, რომ რუსეთისთვის მნიშვნელოვანია არ დაკარგოს სომხეთი, როგორც მისი ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირე, რადგან ეს მნიშვნელოვან დარტყმას მიაყენებს მის ინტერესებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. უკრაინასთან მიმდინარე ომისა და დასავლეთის ეკონომიკური სანქციების ფონზე ისედაც მძიმე გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაში აღმოჩენილ რუსეთს ახლა განსაკუთრებულად არ აწყობს ურთიერთობების გამწვავება მის მოკავშირე ქვეყნებთან. ამგვარად, არსებული გეოპოლიტიკური ვითარება ჯერჯერობით იცავს სომხეთს რუსეთის მიერ ეკონომიკური ბერკეტების უფრო აგრესიულად გამოყენებისგან, თუმცა სომეხ ეკონომისტებსა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებში სწრაფად იზრდება შიში, რომ რუსეთის სომხეთზე არსებული უზარმაზარი ეკონომიკური გავლენის გათვალისწინებით რუსეთთან დაძაბულ პოლიტიკურ ურთიერთობას მაღლევე მოჰყვება მძიმე ეკონომიკური შედეგები. 2022 წლიდან, სომხეთსა და რუსეთს შორის მნიშვნელოვნად გაზრდილი ვაჭრობისა და გაძლიერებული ეკონომიკური

კავშირების ფონზე, რუსეთის მხრიდან ეკონომიკური შეზღუდვები სომხეთისთვის განსაკუთებულად სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს.

საქართველო

საქართველოს რუსეთთან, სამხრეთ კავკასიის სხვა ქვეყნებთან შედარებით, უფრო რთული და არასტაბილური ეკონომიკური ურთიერთობა აქვს, რომელიც ბოლო 30 წლის განმავლობაში ქვეყნებს შორის განვითარებული დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების შესაბამისად იცვლებოდა.

2023 წლის მაჩვენებლებით რუსეთი საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის არის. რუსეთიდან იმპორტის წილი საქართველოს მთლიან იმპორტში 15.8%-ს წარმოადგენს, რაც ნიშნავს, რომ 2023 წელს საქართველოსთვის რუსეთი, თურქეთის შემდეგ, მეორე ყველაზე მსხვილი საიმპორტო პარტნიორი იყო. ექსპორტის მიხედვით კი რუსეთი 2023 წელს საქართველოს საექსპორტო პროდუქციის მთავარი დანიშნულება იყო, სადაც პროდუქციის 18.5% გავიდა.





გრაფიკი 3 & 4: საქართველოს იმპორტი რუსეთიდან და საქართველოს ექსპორტი რუსეთში

წყარო: Trademap

აღსანიშნავია, რომ 2006 წელს, ქვეყნებს შორის დაძაბული დიპლომატიური ურთიერთობების ფონზე, რუსეთმა ქართული პროდუქციის იმპორტი აკრძალა და საქართველოს ბუნებრივი აირისა და ელექტროენერგიის მოწოდება შეუწყვიტა. 2008 წლის ომმა საქართველოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზიანი მიაყენა. ამ მოვლენების შედეგად, რუსეთი გაქრა საქართველოს მთავარ სავაჭრო პარტნიორების სიიდან მანამ, სანამ მან საქართველოს ეკონომიკური შეზღუდვები არ მოუხსნა 2012 წელს საქართველოში პოლიტიკური მმართველობის შეცვლის შემდეგ. შედეგად, საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობა, წარსულში რუსეთის მიერ ამ სავაჭრო ურთიერთობის პოლიტიკურ ბერკეტად გამოყენების მიუხედავად, მაღალი აღდგა. 2015 წელს რუსეთი საქართველოს სავაჭრო პარტნიორების პირველ სამეულში დაბრუნდა. ამგვარად, რუსული ბაზრის ქართული პროდუქციისთვის გახსნასთან ერთად, ამ ბაზარზე დამოკიდებულებით მანიპულირების ახალი შესაძლებლობაც შეიქმნა. მართლაც, 2015 წლის 4 აგვისტოს რუსეთის მომხმარებელთა უფლებებს დაცვის სააგენტო „როსპოტრებნადზორმა“ გამოსცა გაფრთხილება საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული ქართული ღვინოების „დაბალი ხარისხის“ შესახებ. „როსპოტრებნადზორის“ განცხადებამდე რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, დიმიტრი მედვედევმა, საქართველოს მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ ევროპული სანქციების შეერთების „საპასუხო ზომების“ შესაძლებლობაზე ისაუბრა. 2019 წელს საქართველოსთან პირდაპირი ფრენისაკრძალვასთან ერთად საჰაერო მიმოსვლა 2023 წელს აღდგა), კვლავაც ხარისხის კონტროლის საბაბით, რუსეთი საქართველოს მორიგი სავაჭრო შეზღუდვებით დაემუქრა.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად რუსულ ბაზარზე მაღალი დამოკიდებულებით ქართული სასოფლო-სამეურნეო და კვებითი მრეწველობის პროდუქციის - ღვინის, მინერალური და მტკნარი წყლების, ხილ-ბოსტნეულის ექსპორტი გამოირჩევა. მაგალითად, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის (საქსტატი) მონაცემების მიხედვით, ყურძნის ნატურალური ღვინო საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საექსპორტო პროდუქტია (2023 წელს საქართველოდან ექსპორტირებული პროდუქციის 9,2% ღვინო იყო, რომელიც, თავის მხრივ, იყო მეორე ყველაზე მსხვილი ექსპორტირებული პროდუქტი). 2023 წელს ღვინის უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი საქართველოსთვის რუსეთი იყო, სადაც ექსპორტირებული ღვინის 65% გავიდა (საქსტატი, 2024). მსგავსად მინერალური და მტკნარი წყლებისა, რომელიც ასევე საქართველოს უმსხვილეს საექსპორტო პროდუქტებს შორისაა, ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 47% რუსეთში გავიდა. ამასთანავე კრიტიკულად მაღალია საქართველოს დამოკიდებულება რუსულ ხორბალსა და ფქვილზე. 2023 წელს საქართველოში იმპორტირებული ხორბლის 97.5% რუსეთიდან შემოდის. ხორბალი ძირითადი აგროსასურსათო პროდუქტია და ხორბლის იმპორტის კუთხით რუსეთზე დამოკიდებულება განსაკუთრებულად სახიფათოა ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების კუთხით (PMCG, 2023).

მნიშვნელოვანია, რომ სომხეთისგან განსხვავებით, საქართველო არ არის დამოკიდებული რუსეთიდან ენერგიის იმპორტზე. 2006 წლის ემბარგოს და 2008 წლის ომის შემდეგ საქართველომ შეამცირა ენერგოდამოკიდებულება რუსეთზე და გაზის აზერბაიჯანიდან შემოტანა დაიწყო. ეს ვითარება 2013 წელს სანქციების მოხსნის შემდეგაც არ შეცვლილა და საქართველოს ენერგიის რუსეთიდან შემოტანა არ განუახლებია, რაც მნიშვნელოვან ბერკეტს ართმევდა რუსეთს, თუმცა 2023 წელს საქართველოში ბუნებრივი აირის იმპორტი რუსეთიდან 16.5%-ით გაიზარდა და რუსეთის წილმა საქართველოში გაზის იმპორტში 21.5%-ს მიაღწია (საქსტატი, 2024). მეორე მხრივ, მაღალია რუსული კაპიტალის წილი ენერგეტიკის სექტორში (IDFI, 2023): თბილისში ელექტროენერგიის გამანაწილებელი ერთადერთი კომპანია სს „თელასის“ 75%-ს „ინტერ რაო“ ფლობს, რომლის საკონტროლო პაკეტის მფლობელი რუსული სახელმწიფო კომპანიები - „როსნეფტგაზ გრუპი“ და „ინტერ რაო კაპიტალ გრუპია“. „ინტერ რაო“ ასევე ფლობს ჰიდროელექტროსადგურებს: სს „ხრამჰესი I“ და სს „ხრამჰესი II“; რუსული კაპიტალი დგას „ღარსი ჰესის“ და „შილდა ჰესის“ უმსხვილესი წილების უკანაც (შპს „ენერგია“); სს „გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა საქრუსენერგო“ კიდევ ერთი მსხვილი ენერგეტიკული კომპანიაა, რომლის 50%-ს რუსული სახელმწიფო კომპანია სს „ერთიანი ენერგო სისტემის ფედერალური ქსელური კომპანია” (ПАО «ФСК ЕЭС») ფლობს. „საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველოს“ (2022) კვლევის მიხედვით, მსხვილი რუსული კომპანიები წარმოდგენილი არიან საქართველოს ეკონომი-

კის სხვა მნიშვნელოვან სექტორებშიც, მათ შორის მსუბუქ მრეწველობაში (შპს „აიდიეს ბორჯომი“), მძიმე მრეწველობაში (შპს „RMG Gold“ და შპს „RMG Copper“) და ა.შ.

ამგვარად, ბოლო ათწლეულებში რუსეთს ეკონომიკური სანქციები საქართველოს წინააღმდეგ პოლიტიკური წნეხის ინსტრუმენტად არაერთხელ გამოუყენებია. ამის მიუხედავად, 2021-2023 წლებში საქართველოს ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე კიდევ უფრო გაიაზრდა და 2023 წელს კრიტიკულად მაღალ მაჩვენებელს მიაღწია, რაც რუსეთს საქართველოში თავისი ინტერესების გასატარებლად ძლიერ ბერკეტს აძლევს.

◆◆◆ აზერბაიჯანი

სომხეთისა და საქართველოს მსგავსად, რუსეთი აზერბაიჯანის უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორია. 2023 წელს აზერბაიჯანში იმპორტირებული პროდუქციის 18.0% რუსეთიდან შემოვიდა, თუმცა რუსეთი არ არის აზერბაიჯანის უმსხვილეს საექსპორტო პატნიორებს შორის - 2023 წელს აზერბაიჯანიდან ექსპორტზე პროდუქციისმხოლოდ 3.5% გავიდა რუსეთში.





გრაფიკი 5 & 6: აზერბაიჯანის იმპორტი რუსეთიდან და აზერბაიჯანის ექსპორტი რუსეთში
წყარო: UN comtrade

რუსული კაპიტალი აზერბაიჯანში გაცილებით ნაკლები დოზით არის წარმოდგენილი, ვიდრე სომხეთსა და საქართველოში (Sayan et al., 2016), თუმცა აღნიშვნას იმსახურებს რუსული ინვესტიციები აზერბაიჯანის ენერგეტიკის სექტორში. კერძოდ, ნავთობისა და გაზის რუსული კომპანია „ლუკოილი" იმ [კრიტიკული ინფრასტრუქტურის](#) თანამფლობელია, რომელიც საჭიროა ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და კასპიის ზღვიდან ევროპის მიმართულებით მათი ტრანსპორტირებისთვის. რუსული ინვესტიციები აზერბაიჯანის ენერგეტიკის სექტორში 2022 წლის ომის დაწყების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. მაგალითად, „ლუკოილმა" თავისი წილი „შაჰდენიზის" გაზის საბადოში, საიდანაც მოპოვებული გაზის უდიდესი ნაწილი აზერბაიჯანს ევროკავშირში ექსპორტზე გააქვს, 2022 წელს $1.45 მილიარდი ღირებულების შესყიდვის შედეგად 10%-დან 20%-მდე გაზარდა.

ზოგადად, რუსეთს არ აქვს ისეთი ძლიერი ეკონომიკური ბერკეტები აზერბაიჯანის წინააღმდეგ, როგორიც სამხრეთ კავკასიის დანარჩენი ორი ქვეყნის მიმართ. ეს ძირითადად აზერბაიჯანის ენერგოდამოუკიდებლობისა და გაზისა და ნავთობის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლების დამსახურებაა, რაც აზერბაიჯანს აძლევს საშუალებას თავისი ეკონომიკა რუსული გავლენისგან დაიცვას (Kiss, 2013). მაგალითად, აზერბაიჯანი, რუსეთის მხრიდან ზეწოლის მიუხედავად, უარს ამბობს ევრაზიის ეკონომიკური კავშირის (EAEU) წევრობაზე, თუმცა აზერბაიჯანს არც ევროკავშირთან არ აქვს მსგავსი სავაჭრო შეთანხმებები. ზოგადად, აზერბაიჯანის საგარეო და ეკონომიკური პოლიტიკა დასავლეთსა და რუსეთს შორის დაბალანსებაზე არის ორიენტირებული (Genté, 2020).

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის შემთხვევაში რუსეთისთვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ბერკეტს წარმოადგენს რუსეთში მცხოვრები მდიდარი აზერბაიჯანელი ბიზნესმენების დიასპორა, რომელსაც საგრძნობი პოლიტიკური გავლენა აქვს მშობლიურ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე (Shiriyev, 2019).

2022 წლიდან, რუსეთ-უკრაინის ომის და დასავლეთის რუსეთზე მზარდი სანქციების ფონზე კრემლის მიერ ახალი ბაზრების ძიებაში, ბაქო და მოსკოვი აძლიერებენ ორმხრივ ეკონომიკურ ურთიერთობებს (Mammadli, 2024). მიდის საუბრები ორმხრივი ვაჭრობის მოცულობის გაზრდასა და ენერგეტიკის სექტორში გაძლიერებული თანამშრომლობაზე. ამგვარად, არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხეები, რომ რუსეთის ეკონომიკური გავლენა აზერბაიჯანზე კრიტიკულად გაიზარდოს და, შესაბამისად, აზერბაიჯანი რუსეთის პოლიტიკური ინტერესებისადმი უფრო მოწყვლადი გახდეს.

◆◆◆ ევროპა

ცივი ომის შემდეგ რუსეთ-ევროკავშირის ურთიერთობების საფუძველი ეკონომიკური და ენერგეტიკული ურთიერთდამოკიდებულება გახდა (Hughes, 2007). რუსეთსა და ევროპის ეკონომიკურ ურთიერთობას, სამხრეთ კავკასიის ქვეყნებსა და რუსეთს შორის კავშირისგან განსხვავებით, ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ფორმა აქვს. ისევე როგორც ევროპას სჭირდება რუსეთის რესურსები, რუსეთსაც სჭირდება ევროპის ქვეყნებში ამ რესურსების გაყიდვით მიღებული შემოსავლები (Becker & Aslund, 2024). ევროპის ქვეყნებში სჯერდათ, რომ ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება რუსეთს უბიძგებდა წასულიყო გეოპოლიტიკურ კომპრომისებზე ევროკავშირთან. რუსეთისთვისაც ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობა, ფინანსური სარგებელის გარდა, თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების გატარების ინსტრუმენტს წარმოადგენს (Meister, 2022).

2014 წელს, რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგად, ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობები გაუარესდა. ევროკავშირმა რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები დააწესა, რუსეთმაც საპასუხო სანქციები აამოქმედა და მათ შორის ვაჭრობა შემცირდა. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის ქვეყნების ნაწილი რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გაგრძელების და გაძლიერების მომხრეც კი დარჩა (Meister, 2022). ამის გამო ევროკავშირმა 2014 წელს დაწესებული სანქციები შეინარჩუნა და თავიდან აიცილა ისეთი ქმედებები, რომლებიც დააზარალებდა რუსეთში მიმდინარე დიდ ენერგეტიკულ პროექტებს

ან ორივე მხარისთვის ღირებული ეკონომიკურ თანამშრომლობას. მაგალითად, 2015 წლიდან რუსეთზე მზარდი ენერგეტიკული დამოკიდებულების შედეგად 2020 წელს გერმანიის გაზის დაახლოებით 55% რუსეთიდან შემოდიოდა და გერმანიის მხარდაჭერით ხორციელდებოდა „ჩრდილოეთ ნაკადი 2-ის“ (Nord Stream 2) გაზსადენის პროექტი (გაზსადენი რუსეთიდან გერმანიაში ბალტიის ზღვის ქვეშ).

თუმცა რუსეთის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ან ვაჭრობის გზით შეცვლის იდეამ ხელი არ შეუშალა 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში ომის დაწყებას. პირიქით - პუტინმა დაიჯერა, რომ ევროკავშირის წევრი დიდი ქვეყნების ენერგეტიკული ინტერესებისა და ეკონომიკური ოპორტუნიზმის გამო, ევროკავშირი რუსეთს სერიოზულ ეკონომიკურ სანქციებს არ დაუწესებდა, თუმცა ევროკავშირმა მოსალოდნელზე მეტი ერთიანობა გამოიჩინა და რუსეთის წინააღმდეგ მასშტაბური ეკონომიკური სანქციების პაკეტები მოამზადა. 2022 წლის ომის დროს და სანქციების ამოქმედების შემდეგ, თავის მხრივ, რუსეთმაც სცადა ევროკავშირის რუსულ რესურსებზე დამოკიდებულების გამოყენებით „კონტრშეტევა.“ 2022 წელს კრემლმა მკვეთრად შეამცირა გაზის მიწოდება ევროკავშირის მოქალაქეებისთვის. რუსეთის მიზანი იყო ევროპაში არსებული ენერგეტიკული კრიზისი გაემწვავებინა და ევროპის ქვეყნები ეიძულებინა შეემცირებინათ უკრაინის პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მხარდაჭერა. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირმა შეძლო ენერგეტიკული კრიზისის თავიდან არიდება ამგვარი შეფერხებების საფრთხე რუსეთისთვის მაინც მძლავრი იარაღი აღმოჩნდა დეზინფორმაციის გასავრცელებლად, მოსახლეობაში უკმაყოფილების გასაჩენად და რუსეთზე ეკონომიკურად უფრო მეტად დამოკიდებული ევროპული ქვეყნების პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოსახდენად. შედეგად, ეს ქვეყნები მნიშვნელოვან წინააღმდეგობას უწევდნენ ევროკავშირის მიერ რუსეთზე ეკონომიკური სანქციების დაწესებას. მაგალითად, უნგრეთ-რუსეთის ეკონომიკური კავშირები, რომელიც მოიცავს ელექტროენერგიის იმპორტს რუსეთიდან, სოფლის მეურნეობის ექსპორტს რუსეთში და ასევე რუსულ ინვესტიციებს უნგრეთის ფინანსურ და ენერგოსექტორებში, უბიძგებს უნგრეთს, რომ გააკრიტიკოს ეს სანქციები იმ მიზეზით, რომ „ისინი აზიანებენ უნგრეთის ეკონომიკურ ინტერესებს“ (Krekó, 2022).

უნგრეთის და რუსეთთან სხვა, უფრო ძლიერი სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების მქონე ქვეყნების წინააღმდეგობის შედეგად, ევროკავშირს ამ ქვეყნებისთვის სანქციების პაკეტში გამონაკლისების დაშვება მოუწია. კერძოდ, უნგრეთი, ჩეხეთი და სლოვაკეთი დროებით გათავისუფლდნენ რუსეთიდან ნავთობის იმპორტზე დაწესებული შეზღუდვებისგან, თუმცა 2 წლის შემდეგ ეს გამონაკლისი დღემდე ძალაშია და ამ ქვეყ-

ნების რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება კვლავ მაღალია (Sullivan, 2024). ამასთანავე, ეს ქვეყნები განაგრძობენ ევროკავშირის რუსეთის წინააღმდეგ ახალი ეკონომიკური სანქციებისთვის წინააღმდეგობის გაწევას და, შედეგად, ამ სანქციების რუსეთზე გავლენის შემცირებას.

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრიდან 2 წლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობამ წარმატებით შეძლო რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება, ცალკეული ქვეყნების დამოკიდებულება რუსულ რესურსებზე კვლავაც მაღალია. ეს ეკონომიკური დამოკიდებულება რჩება რუსეთისთვის მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ინსტრუმენტად ევროპის ქვეყნების ერთმანეთთან დასაპირისპირებლად და ამ რეგიონში საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად.

დასკვნა

კვლევა აჩვენებს, რომ რუსეთთან კავშირები მრავალმხრივ ეკონომიკურ და პოლიტიკურ რისკებთან არის დაკავშირებული. სამხრეთ კავკასიისა და ევროპის ქვეყნების მაგალითზე ნათლად ჩანს, თუ როგორ იყენებს რუსეთი ამ რეგიონებთან სავაჭრო და საინვესტიციო კავშირებს გეოპოლიტიკური გავლენის გავრცელების ინსტრუმენტად.

2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ რუსეთისთვის ეკონომიკური დამოკიდებულება საკუთარი გეოპოლიტიკური პოზიციების შესანარჩუნებლად განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცა. შესაბამისად, სამხრეთ კავკასიისა და ევროპის ქვეყნებისთვის რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება კრიტიკულად მნიშვნელოვანი გახდა.

ამის საპირისპიროდ, 2022 წლიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკური კავშირები რუსეთთან უფრო მეტად გაძლიერდა და, შესაბამისად, გაიზარდა ამ რეგიონის მოწყვლადობა რუსეთის გეოპოლიტიკური ინტერესებისადმი. ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდა განსაკუთრებით სახიფათოა სომხეთისთვის, რომელსაც ბოლო დროს რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობები დაეძაბა.

ევროპის ქვეყნებმა კი 2022 წლიდან მნიშვნელოვნად შეამცირეს რუსეთთან ეკონომიკური კავშირები, თუმცა ევროკავშირის წევრი ცალკეული ქვეყნები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებს და რუსულ რესურსებზე დამოკიდებულებას, რაც რუსეთს მნიშვნელოვან ბერკეტს უტოვებს ევროპაში საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის გასავრცელებლად.

რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული რისკების შესამცირებლად აუცილებელია, სამხრეთ კავკასიისა და ევროპის ქვეყნებმა შეიმუშავონ სტრატეგია. ეს სტრატეგია უნდა მოიცავდეს როგორც სავაჭრო პარტნიორების დივერსიფიკაციას, რაც ამ ქვეყნებს საშუალებას მისცემს, რომ დაამყარონ უფრო გამძლე და დაბალანსებული ეკონომიკური ურთიერთობები, ასევე შიდა პოლიტიკის მიზანმიმართულ კორექტირებას. ეს მოიცავს: ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას, უცხოური ინვესტიციების წახალისებას და ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერებას ალტერნატიული მიმწოდებლებისა და განახლებადი ენერგიის ინიციატივების მეშვეობით.

მნიშვნელოვანია, რომ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, ევროპისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა ერთობლივად იმუშაონ რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შესამცირებლად. ერთი მხრივ, ევროკავშირი სამხრეთ კავკასიის რეგიონების ქვეყნების მნიშვნელოვანი მხარდამჭერია რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებაში. ფინანსური დახმარების გაწევით, ინფრასტრუქტურაში ინვესტირებით და სავაჭრო ხელშეკრულებების ხელშეწყობით ევროკავშირს შეუძლია დაეხმაროს ამ ქვეყნებს ეკონომიკურ განვითარებაში. მეორე მხრივ, ევროკავშირისთვისაც სამხრეთ კავკასია სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოლიტიკურ და ეკონომიკურ (აზერბაიჯანის ენერგეტიკული რესურსები, საქართველოს და სომხეთის სატრანსპორტო და ლოგისტიკური კორიდორი) პოტენციურ პარტნიორს წარმოადგენს.

ბიბლიოგრაფია

Becker, T., Aslund, A. (2024). The EU's Dependence on Russian Energy—A Force that Divides or Unites the Union?. In: Bakardjieva Engelbrekt, A., Ekman, P., Michalski, A., Oxelheim, L. (eds) The Borders of the European Union in a Conflictual World. Palgrave Macmillan, Cham. https://doi.org/10.1007/978-3-031-54200-8_7

Gardner, A. (2013, September 3). Armenia chooses Russia over EU. Politico. https://www.politico.eu/article/armenia-chooses-russia-over-eu/

Gente, R. (2020). Russian strategies of influence in the South Caucasus region. IRSEM. Research Paper No. 99.

Hughes, J. (2007). EU Relations with Russia: Partnership or Asymmetric Interdependency?. In: Casarini, N., Musu, C. (eds) European Foreign Policy in an Evolving International System. Palgrave Studies in European Union Politics. Palgrave Macmillan, London. https://doi.org/10.1057/9780230593145_6

Institute for Development of Freedom of Information (2023). რუსული კაპიტალი და რუსული კავშირები ქართულ ბიზნესში. USAID & Zinc Network. https://idfi.ge/ge/russian_capital_russian_connections_in_georgian_business

Kiss, A. (2013). Russia and the South Caucasus: Managing contradictions. Eurasian challenges. Ludvig

Krekó, P. (2022). Russian influence in Hungary. ING2 Committee Hearing on Russian interference in the EU: the distinct cases of Hungary and Spain.

Mammadli, R. (2024, March 27). Azerbaijan keeps trade option open amid sanctions busting accusations. www.euractiv.com

Menabde, G. (2015). Russia Threatens Georgia With Renewed Trade War. Eurasia Daily Monitor Volume: 12 Issue: 154. https://jamestown.org/program/russia-threatens-georgia-with-renewed-trade-war/

Meister, S. (2022, November 29). A Paradigm Shift: EU-Russia Relations After the War in Ukraine. Carnegie Europe. https://carnegieendowment.org/research/2022/11/a-paradigm-shift-eu-russia-relations-after-the-war-in-ukraine?lang=en&center=europe

PMCG, (2024). Wheat And Flour Value Chain in the Municipalities of Marneuli, Bolnisi, Gardabani, Dmanisi and Tsalka. USAID Unity Through Diversity Program 2024. https://pmcg-i.com/publication/wheat-and-flour-value-chain-in-the-municipalities-of-marneuli-bolnisi-gardabani-dmanisi-and-tsalka/

Tomczyk, J. (2018). Armenia and the Eurasian-European Digital Divide. AESC Working Papers Series. https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/project-result-content/7341ebd4-2b7c-48a2-a29c-5fc111493165/AESC_working_paper_1.pdf

Transparency International Georgia, (2022). Georgia's economic dependence on Russia: Trade, tourism, remittances, and Russian companies in Georgia.

Sayan, P., Gafarlı, O., Jijavadze, T., Muradyan, D., Öztarsu, M. F., & Romashov, V. (2016). Economic cooperation in the South Caucasus and the wider region: Gained losses, lost benefits. Caucasus Edition: Journal of Conflict Transformation, 71-109.

Shiriyev, Z. (2019). Azerbaijan's relations with Russia: Closer by default?. Chatham House. Research paper. Russia and Eurasia Programme.

Sullivan, A. (2024, August 1). War in Ukraine: Russian oil still flowing into the EU. Deutsche Welle. https://www.dw.com/en/war-in-ukraine-russian-oil-still-flowing-into-the-eu/a-69826039

Waal, T. (2024). Armenia Navigates a Path Away From Russia. Carnegie Europe. https://carnegieendowment.org/research/2024/07/armenia-navigates-a-path-away-from-russia?lang=en&center=russia-eurasia